1 აპრილი

2019 ორშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

წადი, ცოცხალია შენი შვილი იო 4,51

მეფის მოხელე მიენდო იესოს, რომელმაც ამ სიტყვებით მიმართა, და მორჩილად წავიდა. მამა ეპისკოპოსმა ჩვენთან ერთად გაიზიარა მსგავსი გამოცდილება: ხშირად, როდესაც ლოცულობს, შეჭირვების გრძნობა აქვს საკუთარი ქადაგების მიმართ, მაგრამ, იესოს დავალებისადმი ერთგულებით, განაგრძობს... და რამდენჯერ შეხებია ხელით უფლისადმი თავისი ნდობის ნაყოფს.

2 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

მოხს.: წმ. ფრანცისკე პაოლელი, მეუდ. + 1507

2019 სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

უფალო, არავინა მყავს... იო 5,7

მრავალ სნეულს შორის, ბეთეზდად წოდებულ აუზთან რომ იწვნენ, იესოს ყურადღება ერთმა კაცმა მიიქცია: რომელსაც ოცდათვრამეტწლიანი ავადმყოფობის განმავლობაში არავინ ჰყოლია, ვისაც დაეყრდნობოდა. იესომ ეს იცოდა და თავისი სიყვარულის ძალით ჩაერია...
ჩვენც მოგვმადლე, უფალო, შენი სულიწმიდა, რათა წარმართოს ჩვენი ფიქრები, გრძნობები და ქმედებები. ჩვენ ვიქნებით ძღვენი უპოვრისათვის, რომელიც შენ გიყვარს.

3 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2019 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

განა დაივიწყებს ქალი თავის ჩვილს? ეს 49,15

მონაკვეთი, საიდანაც ეს სიტყვაა აღებული, წმიდა წერილის ყლორტია: თუ ვერ შევძლებთ მის მოსმენას წმიდა წირვაზე, ბიბლიაში მოვძებნით მას, რომ წავიკითხოთ და გულით ვატაროთ. მართლაც, სხვა რა გვაქვს ჩვენ, ქრისტიანებს, სამყაროსგან განსხვავებული, რომ მტკიცედ და მხნედ ვიყოთ, თუ არა ზეციერი მამის სიყვარული: ერთგული სიყვარული, რომელიც მიუტევებს და ივიწყებს, სიყვარული, რომელიც ანახლებს და სიყვარულით აღავსებს?

4 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკლ. მოძ. +636

2019 ხუთშაბათი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

ჩემთან მოსვლა კი არ გსურთ, რათა სიცოცხლე გქონდეთ იო 5,40

რაოდენ სურს იესოს, რომ სიცოცხლე ვიპოვოთ, ის ჭეშმარიტი და სავსე სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს არ იცნობს და რომლის მოცემაც მხოლოდ მას შეუძლია! იგივე სურვილია, ჩვენ, მისი ეკლესია, რომ ვატარებთ გულით. ჩვენ ვუძღვნით ყოველ ამოსუნთქვას, ყოველგვარ ფაფასა და სიხარულს, ყოველ ცრემლს, რათა მამისა და იესოს სურვილი აღსრულდეს!

5 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი, +1419

2019 პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

მე ვიცნობ მას იო 7,29

როდესაც ვიღაც დაგვარწმუნებს, რომ არაფრის გვწამდეს - ვინ იცის, რა მძიმე გამოცდილება ჰქონია! - დარწმუნებით და სიხარულით ვეტყვით მას: «მოუსმინე იესოს! ის იცნობს ღმერთს და შეუძლია მასთან შეგახვედროს. შეხედე, როგორ უყვარდა მას გლახაკები და ცოდვილები, შეხედე, როგორ მოკვდა ჯვარზე, რომ არც კი დაუჩივლია, შეხედე მას, როგორ ამაღლდა მამასთან და გვაკურთხა!». ჩვენს სიტყვასთან ერთად, ერთგულად შევევედროთ სულისწმიდას.

6 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2019 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

განხეთქილება ჩამოვარდა მის გამო ხალხში

იო 7,43

თავისი მისიის დაწყებისას, იესომ თქვა: "ნეტარ არიან გულით სუფთანი, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ". ესაა მოხმობა, რომ გული გავითავისუფლოთ იმ ყველაფრისგან, რაც მამისგან არ მოდის, და მტკიცედ ვიაროთ ერთგული სიმდაბლისა და მორჩილების გზაზე. ამ გზაზე ჭეშმარიტად შევიცნობთ იესოს, რომელიც თავის მტკიცე და მხნე მოწმეებად გვაქცევს ამ სამყაროს წყვდიადში.

7 აპრილი

დიდმარხვის ჟამის V კვირადღე, «გ», [I], ი

2019 კვირა

ეს 43,16-21; ფს 125; ფილიპ 3,8-14; იო 8,1-11 (“ა” წლის კვირადღის საკითხავები იკითხება ამ შვიდეულის რომელიმე დღეს)

ვინც უცოდველია თქვენ შორის, პირველმა მან ესროლოს ქვა იო 8,7

იესო არ ამბობს, რომ მოსეს მიერ მოცემული რჯული არასწორია, არც იმას ამბობს, რომ ამ ქალს არ შეუცოდავს. იგი უბიძგებს ყველას, რომ საკუთარ თავს შეხედონ, არ მიითვისონ სხვათა განსჯის უფლება. ამ “უფლებას” როდი გვაძლევს ღმერთი: ვინაიდან იესო განსასჯელად კი არ მოსულა, არამედ დასახსნელად. იგი, ერთადერთი უცოდველი, ამბობს: “არც მე გდებ მსჯავრს. ამიერიდან ნუღარ შესცოდავ”.

8 აპრილი

2019 ორშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,12-20

მე ვარ ნათელი ქვეყნისა იო 8,12

ფარისეველთა მიმართ ნათქვამი იესოს ეს სიტყვები უკიდურესად ცხადად ჟღერს, მაგრამ იმდენადვე განსაცვიფრებელია. ვინაიდან მთელ ბიბლიაში, "ნათელი" არის ღმრთის სიტყვა. ფარისეველთათვის, ამგვარი მტკიცება ღვთისგმობაა. მაგრამ ჩვენთვის ის დარმწუნებულობა, სიხარული და მოწმობის ძალაა. გმადლობ, უფალო იესო!

9 აპრილი

2019 სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა იო 8,29

იესო ყოველთვის დარწმუნებული იყო მამის სიყვარულით სავსე ყოფნაში, რომელიც შეეწია მას, რომ ადამიანთაგან უარყოფა გადაეტანა. მას შეეწია ჯვარზეც, როდესაც დარდმა მოიცვა და იფიქრა, რომ მამამ მიატოვა: ამგვარ წყვდიადშიც არ ჩავარდნილა იესო უიმედობაში და არ დაუკარგავს მამისადმი ნდობა.
იესო, ჩემს გულშიც ჩასახე შენი სიტყვები და შენი ნება, რომ მუდამ ის ვაკეთო, რაც მამისთვისაა სასურველი.

10 აპრილი

2019 ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ იო 8,31

იესოს მოწაფეობა არ ნიშნავს, ყოველ ჯერზე მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმას: ეს ნიშნავს, რომ მიჰყვე მას, სადაც მიგითითებს და წაგიძღვება, მაშინაც კი როდესაც თავმდაბლობას ითხოვს. ეს ნიშნავს, დაანებო, რომ მისმა სიტყვამ ნათელი მოჰფინოს ჩვენი ცხოვრების ყოველ ასპექტს და ის მამის გულის ნებისამებრ გამოძერწოს. ჩვენ მოგვეთხოვება გარკვეული მსხვერპლი, მაგრამ ჭეშმარიტ თავისუფლებას განვიცდით, იმის თავისუფლებას, ვისაც სამარადისოდ უყვარს!

11 აპრილი

2019 ხუთშაბათი

შენ და შენმა შთამომავლობამ კი ჩემი აღთქმა დაიცავით დაბ 17,9

უფალი ესაუბრება აბრაამს, პირველ 'ისტორიულ' ადამიანს, რომელიც ისმენს ღმერთის ხმას. ღმერთმა აირჩია იგი, ნდობასა და მორჩილებას სთხოვს მას და ნაყოფიერებით აღავსებს. მას შემდეგ რამხელა გზა განვლო მამამ! ჩვენ კი გვაქვს მადლი, რომ ჟამის სისავსეში ვიცხოვროთ და ახალი აღთქმით გავიხაროთ: "ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს". მაშინ გვექნება შემეცნება და სასიხარულო ვალდებულება!

12 აპრილი

2019 პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

უფალი კი ჩემთან არის, როგორც ძლიერი მებრძოლი იერ 20,11

იერემია ათვალწუნებულია იმისგან, ვისაც მისი ქადაგება აღიზიანებს. მაგრამ იგი გულს არ იცრუებს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მარტო არაა. იგი იესოს წინასწარმეტყველებაა: რელიგიური მეთაურები მის ჩაქოლვას ცდილობენ, რომ გააჩუმონ, რომ აღარ მოისმინონ მისი ჭეშმარიტების სიტყვები, რომლებიც მათთვის ღვთისგმობაა. იესომაც იცის, რომ მამა მის გვერდითაა და, მეტიც, იმ ნდობით, რომლითაც ფავარზე თავის სულს მას გადასცემს, ამბობს: "მამა ჩემშია და მე მამაში ვარ".

13 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, +655

2019

შაბათი

ეზეკ 37,21-28; იერ 31,10-13; იო 11,45-56

რა ვქნათ, რადგან ბევრ სასწაულს ახდენს ეს კაცი? იო 11,47

ნიშნებს უნდა მიეხვედრებინათ რელიგიური მეთაურები, რომ იესო იყო ღმერთის ყოფნა ჩვენს შორის, ეზეკიელის მეშვეობით ღმერთისგან აღთქმული ჭეშმარიტი ტაძარი. მაგრამ ისინი მიჯაჭვულნი არიან ქვის ტაძარზე, რომელშიც გააჩნიათ ძალაუფლება, პრესტიჟი, სიმდიდრე, და იესოს განადგურებას გადაწყვეტენ. და მე რას ვაკეთებ იმ ნიშნების წინაშე, იესო რომ მაძლევს? დაე, მისი სიყვარულის ნიშნებმა დაამსხვრიოს ჩემი კერპები და ჩემში ადგილი გაუმზადოს მას, ვინც თავის სიცოცხლე გაიღო ჩემთვის.

14 აპრილი

ბზობისა და უფლის ვნების კვირადღე,
«გ», [II], წ

2019 კვირა

ლკ 19,28-40; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ლკ 22,14 - 23,56

ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში ლკ 22,40

გმადლობ, სულო წმიდაო: გმადლობ იესოს მაგალითისათვის, რომელიც ლოცვით მოემზადა თავისი ვნებისათვის და რომელმაც ჩვენც გვირჩია ის! გმადლობ იმ მრავალი შესაძლებლობისათვის, როდესაც შევიგრძენით, რომ ლოცვიდან მოდის ნათელი და ძალა უფლის მოწაფეთა ცხოვრებისათვის! არ დავაკლები ლოცვის შეხვედრებს, ეს კვირა რომ გვთავაზობს!

15 აპრილი

დიდი ორშაბათი [II] ი

2019 ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

მასზე დაივანა ჩემმა სულმა ეს 42,1

სული არის ქარი, მთელ ჩვენს არსებას, გრძნობებს, ფიქრებსა და ქმედებებს რომ ამოძრავებს. მამის სული იესოზეა დავანებული: იგი მუდამ და მხოლოდ მამის სიყვარულით იძვრის. ამას ვხედავთ მის სწავლებაში, ჩადენილ სასწაულებში და, პირველ რიგში, მის მიერ ჯვარზე საკუთარი თავის გაცემაში. სწორედ ამას განვჭვრეტთ ამ წმიდა კვირის განმავლობაში: სხვა არავითარ სულს - არც დაცვისა და არც შურისგების სულს - არ აღუძრავს იესო, არამედ მხოლოდ მამის სრულყოფილმა სიყვარულმა გააკეთა ეს.

16 აპრილი

დიდი სამშაბათი [II] ი

2019 სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

ერების სინათლედ განგაწესებ ეს 49,6

შენ გიმზერ, იესო. ვხედავ, რომ უღმეს ფიზიკურ და ზნეობრივ ტკივილს განიცდი; შენი ერთადერთი შვება მამისადმი შენი შვილებრივი ნდობაა, ძლიერ და გაწამებულ ლოცვად რომ იქცევა. ვხედავ, რომ სიყვარულის გზას იღებ: შენი ბნელიდან გადმოიღვრება ნათელი ყოველი ადამიანისათვის. ჩემს წყვდიადსაც მოგიძღვნი, იესო: შენი ნათელი მოჰფინე ჩემს გულს! გმადლობ!

17 აპრილი

2019 ოთხშაბათი

დიდი ოთხშაბათი, [II], ი

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

შენთან დავიუენებ პასექს ჩემს მოწაფეებთან ერთად მთ 26,18

ეს პასექი, იესო, შენს ნაყვარებთაგან ერთ-ერთის ღალატის გამო, დაღდასმული იქნება სიცოცხლის გაღებით, ტანჯვითა და განშორებით. გმადლობ, რომ ყველაფერი მიიღე მამის ხელიდან. შენ გვიმზადებდი ჭეშმარიტ პასექს, ჭეშმარიტ დღესასწაულს: რომლითაც წინასწარ დავტკბებით ყოველ კვირადღეს, რომელიც ზეცაში მარადიუ-ლი დღესასწაულის მომასწავებელი და მაუწყებელია!

18 აპრილი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

2019 ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15
(უფლის სერობის წირვა)

თუ არ დაგბან,
წილი არ გექნება ჩემთან იო 13,8

იესო, შენი, კრავის სისხლია, რომელსაც
დღეს მთელ ეკლესიასთან ერთად ვუჭ-
ვრეტ და თაყვანს ვცემ, სისხლი, რომელიც
ძველი და ახალი ცოდვისგან განმწმედს.
ასე შევძლებ წილი მქონდეს შენთან, შემო-
ვალ ამქვეყნად შენს სასუფეველში: ვიპოვი
მრავალ ძმას, რომ მიყვარდნენ და ვემსა-
ხურო, და დავანებებ, რომ მათაც ვუყვა-
რდე; მამის სიფაქიზეში დავმკვიდრდები.
გმადლობ, იესო, ჩემო კრავო!

19 აპრილი

წითელი პარასკევი, [ს], წ

2019 პარასკევი

ეს 52,13-53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1-19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყონ მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

მისი იარებით ჩვენ განვიკურნეთ ეს 53,5

დღეს ჩვენ, იესოს მცირე ფარა, ვუჭვრეტთ მის სიყვარულს მისი ბრწყინვალების მწვერვალზე: თაყვანს ვცემთ მას, მადლობას ვწირავთ მთელი ჩვენი გულით, და კვლავაც სიხარულითა და გაბედულებით ვუძღვნით თავს მას. მის ჭრილობებში, ახლა რომ დიდებულია, გვაქვს თავშესაფარი, გამოსყიდვა, ნუგეში, დარწმუნებულობა, რომ სარადისოდ ვართ ნაყვარებნი... გმადლობ, იესო, ჩემო მაცხოვარო!

20 აპრილი

2019 შაბათი

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

თქვენ მის მიერ იწამეთ ღმერთი, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა იგი 1პეტ 1.21

საპასექო ღამისთევა. ეკლესია, დედა ჩვენი, მდუმარებისკენ მოგვიხმობს. იესომ მიიღო და განწმიდა სიკვდილიც, სამარხიც, დაფარულობაც, მდუმარებაც: მან ის აქცია მამასთან თავისი უმშვენიერესი შეხვედრის ადგილად; მან ის აქცია ჩვენი ახალი ცხოვრების აკვნად, ჭეშმარიტი რწმენიდან რომ იბადება. დღევანდელი მდუმარება იესოს შეცნობითა და მის მიმართ სიყვარულით, და მასთან ერთად მამისმიერი სიცოცხლის მოლოდინით იქნება სავსე.

21 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა,
«გ», დდ, [ს], თ

2019 კვირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან, 1კორ 5,6-8; იო 20,1-9
(საღამოს: ლკ 24,13-35)

იხილა და ირწმუნა იო 20,8

ცარიელი სამარხი, დაწყობილი ტილოებით, დიდ კითხვის ნიშნად იქცევა იონა-ნე მოციქულისთვის. იგი თანდათანობით ირწმუნებს ღმერთის ძალმოსილებას და იესოს სიტყვას. დღეს მისი რწმენა ჩვენც გადმოგვედება. მეც მწამს, რომ იესო ცოცხალია იმ სიცოცხლით, რომელსაც აღარ აშინებს სიკვდილი. იესო ჩემი უფალია, რომელსაც ხელთ უკავია ჩემი ცხოვრებაც: აღარ მაქვს შიში და კვლავაც ვიგალობებ დახსნილთა და გამოსყიდულთა დიდებას!

22 აპრილი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2019 ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

სიხარულით აღმავსებ შენი სახის წინაშე საქმ 2,28

ამ საპასექო შვიდდღეულში, დიდდღესასწაულის ჟამს, იესო მრავალგვარად იმყოფება თავისიანებთან: მისი ყოფნა სიხარულით ავსებს მათ! ჩვენც გვაქვს მადლი, რომ აღმდგარი იესოს ჟამს ვიცხოვროთ: სმენადქცეულნი, მდუმარენი, განმარტოებულნი და თავისუფალნი უნდა ვიყოთ ამ სამყაროსგან, რომელსაც ჩვენი ჩათრევა და შეტყუება სწყურია. იესო გაგვაოცებს თავისი მოსვლით, ჩვენ კი მისი სიხარულით აღვივსებით. ალელუია!

23 აპრილი

2019 სამშაბათი

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

წადი და ჩემს ძმებს უთხარი: „მე ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან“ იო 20,17

უმნიშვნელო როდია უწყება, აღმდგარი იესო რომ ანდობს თავის მოწაფეს. ის აღსავსეა მადლით, მან რომ მოუტანა ფავარზე თავის მორწმუნეებს: მამა მისი, რომელიც მისი სიხარულის სისავსეა, ყოველი მოწაფის მამაცაა! მასაც შეუძლია დატკბეს სიფაქიზით, გულმოწყალეობით და უსაფრთხოებით, მისი ჭეშმარიტი, სავსე და საუკუნო სიცოცხლის ძღვენით. ალელუია!

24 აპრილი

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2019 ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

იესო ნაზარეველის სახელით, ადექ და გაიარე

საქმ 3,6

არ შემეძლო ჩემი დის ავადმყოფ თვალში ჩაწვეთება: ესოდენ უბრალო და ყოველდღიური სამსახური. მოთმინებას ვკარგავდი. როდესაც ბოლოსდაბოლოს მეორე თვალზე გადავედი, წავიჩურჩულე: "იესო, დამეხმარე!". თავმდაბლობის ამგვარი აქტი, აღიარება იმისა, რომ უმცირეს საქმეებშიც კი მჭირდება იესო, საკმარისი აღმოჩნდა. გმადლობ, იესო, რომ ასე გახსნილი და ახლოსა ხარ ჩემთან.

25 აპრილი

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2019 ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

მოინანიეთ და მოიქეცით საქმ 3,19

ამ სასიხარულო დღეს განა შეიძლება გაიჟღეროს ამგვარმა მოხმობამ მოქცევისკენ, ახალი ცხოვრების დაწყებისკენ? მაგრამ სწორედ აღმდგარი იესოა, რომელსაც სიხარულით ვზეიმობთ, რომელიც მოგვმადლის, რომ მასთან ერთად ვიაროთ სიცოცხლის სიახლეში, მხოლოდ მამის სიყვარულით მოცულებმა და აღძრულებმა. ეს მადლი გადმოგვეცემა, როგორც თესლი, წმიდა ნათლობაში, და განახლდება უფლის პასექის საიდუმლოში! ალელუია!

26 აპრილი

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2019 პარასკევი

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

სხვა არავისში არსებობს ხსნა საქმ 4,12

ასეთია მოციქულთა უწყება: სარწმუნო უწყება, რომელსაც არ აშინებს ხალხის მეთაურთა მტრობა და მათი მუქარები. დღეს ეს უწყება მონდობილია შენზე, ჩემ-ზე, ჩვენზე, ვინც უფლის სუსტი ეკლესია ვართ. მას მოჰყავს მაცხოვარი იესო, იცავს და გადასცემს მას. ის სიყვარულის უსა-ზღვრო სიხარული და ღმრა პასუხისმგებ-ლობაა ჩვენი ძმების მიმართ. ალელუია!

27 აპრილი

2019 შაბათი

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ის, რაც გვიხილავს და მოგვისმენია საქმ 4,20

ჩვენ დარწმუნებულობით ვებღაუჭებით ჩვენს რწმენას იესოსადმი მოციქულთა მოწმობაში. ამის გამო შეხვდნენ ისინი მტკიცედ ყოველგვარ დევნა-შევიწროებას და თვით სიკვდილსაც კი. ჩვენც მზად ვართ, რომ მათი უწყება გადავცეთ: ღმერთი არის მამა, რომელიც გვიხსნის და გვიტევებს იესოში. ამას სიტყვით ან გულმოწყალეობისა და სიყვარულის ჟესტებით ვიტყვით. შესაძლოა გვიღირდეს კიდეც, მაგრამ ჩვენ ვიქნებით სიცოცხლისა და იმედის მატარებელნი. ალელუია!

28 აპრილი

პასექის ჟამის II კვირადღე, (ღმრთაებრივი
გულმოწყალებისა) «გ», [ს], თ

2019 კვირა

საქმ 5,12-16; ფს 117; გამოცხ 1,9-11.12-13.17-19; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

გაიხარეს მოწაფეებმა უფლის ხილვით იო 20,20

პაპი ფრანცისკე ხშირად მოგვიხმობს, რომ შევინახოთ იესოს სიხარული, ჩვენ კი სიამოვნებით ვემორჩილებით. ვინაიდან სხვას ვის შეუძლია სიხარულის მოტანა ამ საწყალობელ მიწაზე, თუ არა იესოს მოწაფეებს? მიუხედავად საკუთარი სიმცირისა, ისინი იცნობენ მამის გულმოწყალეობას, გულით ატარებენ მის სიყვარულს, ცხოვრებას უძღვნიან მას, ვისაც ისინი უყვარს და ვინც სამარადისოდ ცოცხალია. ალელუია!

29 აპრილი

2019 ორშაბათი

წმ. ეკატერინე სიენელი,
ქალწ. და ეკლ. მოძღვ.
ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

1იო 1,5 - 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებელ ეკლესიაში

ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ მთ 11,29

მადლობას გწირავ, იესო! შენ მომეცი შესაძლებლობა, რომ შენს ჭეშმარიტ მოწაფესთან ერთად გამეტარებინა დრო. მისი სიტყვები ტკბილი იყო, მშვიდობას აუწყებდა; პრეტენზიის ან ბრძანების არავითარი ტონი არ იგრძნობოდა. დამეხმარე, იესო; დამეხმარე შენც, წმ. ეკატერინე: რადგანაც ვიცი, რომ მარტოს არ შემიძლია ამის კეთება. მსურს, სმენაგამახვილებული ვიყო ჩემს საუბარზე, რომ უბრალო იყოს ის და, პირველ რიგში, თვინიერებითა და თავმდაბლობით ხასიათდებოდეს.

30 აპრილი

2019 სამშაბათი

პასექის II კვირა [II] თ

წმ. პიუს V, პაპი, +1572;
(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

მოციქულები დიდი ძალით მოწმობ-დნენ უფალ იესოს აღდგომას საქმ 4,33

ყოველ კვირადღეს ჩვენ, ღმრთის ერი, ნათელსა და სიცოცხლეს ვღებულობთ მღვდლის სიტყვიდან, რომელიც წმიდა წერილს განგვიმარტავს, აღმდგარ და ცოცხალ იესოზე რომ გვესაუბრება: ესაა დიდი ძღვენი, რომლის გამოც მადლობას ვწირავთ უფალს. ზოგჯერ თავად მღვდელი გვიხდის მადლობას ჩვენ, მორწმუნეებს, ვინაიდან ამბობს, რომ იესოსთან და იესოსთვის ჩვენი ცხოვრებაა, მის სიტყვას რომ აძლევს სულიწმიდის ძალას.